ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ა(ა).ი.პ. ,,მომავლის“ მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი „ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის,საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ,საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის“მიზანია ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და სკოლისთვის მომზადება .მისი საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმს,დემოკრატიულობის,ტოლერანტობის და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს.

დაწესებულება „მომავალი“ აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს და ერთ სასკოლო მზაობის ჯგუფს.

#1 საბავშვო ბაღი

#1 ბაგა ბაღი

#2 ბაგა ბაღი

საჭამიასერის საბავშვო ბაღი

კოხნარის საბავშვო ბაღი

ბუკისციხის საბავშვო ბაღი

იანეულის საბავშვო ბაღი

ერკეთის საბავშვო ბაღი

ჯვარცხმის საბავშვო ბაღი

ბასილეთის საბავშვო ბაღი

ქვენობნის საბავშვო ბაღი

ვან-ზომლეთის საბავშვო ბაღი

სამების საბავშვო ბაღი

ამაღლების საბავშვო ბაღი

შუა ამაღლების საბავშვო ბაღი

გოგოლესუბნის საბავშვო ბაღი

ხევის საბავშვო ბაღი

ნაბეღლავის საბავშვო ბაღი

ზოტის საბავშვო ბაღი

ბუკნარის საბავშვო ბაღი

ხიდისთავის საბავშვო ბაღი

გუთურის სასკოლო მზაობის ჯგუფი

სკოლამდელ დაწესებულებებში ჯგუფები კომპლექტდება აღსაზრდელთა ასაკის მიხედვით.ასევე შერეული ჯგუფები გვაქვს 16 სოფელში.

2025 წელს ჩვენს დაქვემდებარებაში არსებულ საბავშვო ბაღებში ირიცხებოდა 480 აღსაზრდელი აქედან სასკოლო ასაკის 149 აღსაზრდელი.

საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული კურიკულუმის „თამაშის „ შესაბამისად. საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პერსონალი სრულად გადამზადებული 66 საათიანი ტრენინგ-მოდულით. საბავშო ბაღის გამგეები და ადმინისტრაცის წარმომადგენლები გადამადებულ იქნა მოდულით სკოლამდელი დაწესებულების მართვა და მენეჯმენტი“.

2025 წლის ივნისის თევში ახაგაზრდა პედაგოგთა კავშირის მხარდაჭერით გადზადებული იქნა აღმზრდელები მოდულით „პირველადი გადაუდებელი დახმარება „ ასევე ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები მათი იდენტიფიცირებისა და რეაგირების მექნიზმები“.

2025 წელს დაიწყო საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი.განათლების ხარისხის მართვის ცენტრის მიერ შერჩეული იქნა საჭამიასერის,სამების და ხიდისთავის საბავშვო ბაღები.

აღნიშნული ბაღების სტანდარტთან შესაბამისობა ადგილზე შესწავლილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ .2025 წლის ოქტომბრის თვეში სამივე საბავშვო ბაღს მიენიჭა ავტორიზაცია ექვსი წლის ვადით.გაცემულია რეკომენდაციები,ავტორიზირებულ საბავშვო ბაღებში შესასრულებელია სხვადასხვა სახის სამუშაოები, რაც გულისხმობს,სველი წერტილების,პანდუსების,ეზოს ღობის,საბავშვო ბაღის შენობაში არსებული ინვენტარის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას,საბავშვო ბაღების აღჭურვას ინტერნეტით და კომპიუტერით.რეკომენდაციის მიხედვით სოფ.სამების,საჭამიასერის საბავშვო ბაღებში მოსაწყობია ცენტრალური გათბობის სისტემა.

2025 წლის თებერვლის თვეში საბავშვო ბაღები მომარაგდა სათამაშოებით და საბავშვო ლიტერატურით (პროექტი განხორციელდა „მწვანე გურიის“ ფარგლებში)

საბავშვო ბაღებში დანერგილია და ხორციელდება ჰასპის პროგრამა. ჰასპის პროგრამა გულისხმობს უვნებელი სურსათის მომზადებას, შენახვას და მიწოდებას. აღნიშნული პროგრამის დანერგვით ბაღებში უზრუნველყოფილია სურსათის სათანადო მომზადება და ჰიგიენის სანიმუშაო პრაქტიკა. ყველა ბაღს მიწოდებულია აქვს ჰასპის სახლმძღვანელო.

2025 წელს ივლისის თვეში სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა საბავშვო ბაღებში დანერგილი ჰასპის პროგრამის აუდიტი.მათ მიერ შერჩეული იქნა სოფ.საჭამიასერის საბავშვო ბაღი.სააგენტოს მიერ მოგვეცა შესაბამისი რეკომენდაციები, რეკომენდაცის ფარგლებში სექტემბრის თვეში „სურსათის ხარისხის და უვნებლობის „ჰაბის „მიერნ გადამზადდა ჰასპის პროგრამით საბავშო ბაღის გამგეები, ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები, მზარეულები, მზარეულის თანაშემწეები. ასევე დაკალიბრდა სამზარეულოში არსებული თერმომეტრები, რომლითაც იყენებენ საკვების მომზადების პროცესში. ნოემბრის თვეში სრუფასოვნად გავიარეთ განმეორებით აუდიტი სრულფასოვნად გავიარეთ.

ავტორიზაციის პროცესის ერთ-ერთ მნიშნელოვან საკითხს წარმოადგენს სეზონური-პერსპექტიული მენიუ, ჩვენს დაქვემდებარებში მყოფი საბავშვო ბაღები სარგებლობენ ნუტიციოლოგის მიერ შემუშავებული და ადმინისტრაცის მიერ დამტკიცებული 2 კვირიანი სეზონური მენიუთი. ახალი მენიუ მდიდარია ნახშირწყლებით და ცილებით, რაც მნიშნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობის განვითარებისთვის. დაცულია კალორაჟობა. აღსაზრდელები დღის მანძლზე სარგებლობენ 4 ჯერადი კვებით: საუზმე, წახემსება (ხილი), სადილი, სამხარი. ახალი მენიუს დამტკიცებამდე ერთი აღსაზრდელის კვება შეადგენდა 3 ლარი და 60 თეთრი დამტკიცების შემდეგ შეადგენს 7 ლარი 80 თეთრი.

ყველა საბავშვო ბაღი მოთხოვნების შესაბამისად პერიოდულად მარაგდება საკანცელარიო და სამეურნეო საქონლით. ადმინისტრაციაში გვყავს ტექნიკური მუშაკი, რომელიც საჭიროების მიხედვით უზრუნვეყოფს საბავშვო ბაღეში მცირე სახის სამუშაოებს.

რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ #1 ბაგა-ბაღში და #1 საბავშვო ბაღში 2025 წლის ოქტომბერში დაიწყო ბაღების სრული რეაბილიტაცია. მიმდინარე სამუშაოების გამო საბავშვო ბაღები განთავსდა #2 ბაგა ბაღის შენობაში, მოეწყო ჯგუფის ოთახები. ასევე აღსაზრდელები გადანაწილებული იქნა ჯვარცხმისა და გოგოლესუბნის საბავშვო ბაღებში.

შემდგომ ეტაპზე იგეგმება გოგოლესუბნის, შუა ამაღლების, ვან-ზომლეთის, იანეულის, ქვენობნის, კოხნარის საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხოლო #2 ბაგა-ბაღის, ჯვარცხმის, ხევის ბაღების სრული რეაბილიტაცია.

ადმინსტრაციაში შემნილია მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც საბავშო ბაღებში გარკვეული პერიოდულობით აწარმოებენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის, ჰიგიენის ნორმების დაცვის, კვების ბლოკის მონიტორინგს, რის საფუძველზე იძლევიან შესაბაბის რეკომენდაციებს, ორმხრივი ხელმოწერით ივსება მონიტორინგის შესაბამისი ოქმები.

ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ საბავშვო ბაღებში განახლებას საჭირეობს ბაღებში არსებული ინფრასტრუქტურა, რბილი ავეჯი, სამზარეულოს ინვენტარი, ტექნიკა. ავტორიზაცის მოთხოვნების შესაბამისაად საბავშო ბაღები უნდა აღიჭურვოს კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით.